აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა

გამგებლის ბრძანება

ქ. თბილისი

N 2-92
07.09.2023

92-0-4-202309071606

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისთვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, 54-ე მუხლის „დ.ა“, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის,ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 05 მაისის №14 განკარგულების და „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 07 ივლისის №20 განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი №1-ში ჩამოთვლილი ქონების პრივატიზების მიზნით (თან ერთვის);
2. დამტკიცდეს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2-ის შესაბამისად (თან ერთვის);

3. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით;

4. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე გამოცხადების მომენტიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღით, ხოლო არასამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე პირველივე სამუშაო დღეს;

5. დაევალოს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge და ზედამხედველობა გაუწიოს აუქციონის მიმდინარეობას;

6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს - ხვანთქარ დევდარიანს;

7. ბრძანება ძალაში შევიდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ლაშა მარგიანი

გამგებელი

დანართი №1

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ჩამონათვალი

№	ქონების დასახელება	რაოდენობა	გამოშვების წელი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	ტრაქტორი mtz-82-1	1	2006	7880	
2	ტრაქტორი cerez-36	1	2006	9330	
3	ტრაქტორი solaris-55	1	2006	9097	
4	გუთანი- 300 CZH	1	2010	1166	
5	გუთანი- CZH	1	2010	1085	
6	თხევ ნივთ. საწამლი აპარატი Jarmet p-329	1	2011	1080	
7	ნიადაგზე დასამუშავებელი ფრეზიპოლ (პოლონური პატარა)AKRIL FREZA 1.6	1	2012	1600	
8	ნიადაგზე დასამუშავებელი ფრეზი პოლ (დიდი)განი2,1მოდელFREZA 2.1	1	2012	1880	
9	სათიბი მანქანა 6განიანი	1	2012	388	
10	ხორბლის სათესი სასუქის მისაცემით-(თურქ.-VEROTOOLS)მოდSEED DRILL22,20რიგიანი	1	2012	4800	
11	შავი ლითონის ჯართი - ამორტიზებული და დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მისაბმელი 4 აგრეგატი (სეგმენტური სათიბი, საკვალავი და 2 გუთანი)	-	-	291	ჯართის სავარაუდო წონა - 647 კგ
12	კონდიციონერი ჰიუნდაი30მკვ.	1		200	
13	კონდიციონერი Midea MSAB-18HRN1	1		235	
14	კონდიციონერი -HYUNDAI ESAF-18HN1	1		245	
15	კონდიციონერი Midea MSAB-12HRN1	1		225	
16	კონდიციონერი Midea MSAB-12HRN1	1		225	
17	კონდიციონერი Midea MSAB-12HRN1	1		225	
18	კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1	1		220	
19	კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1	1		220	
20	კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1	1		220	
21	კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1	1		220	
22	კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1	1		220	

დანართი №2

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზირებისთვის უპირობო ელექტრონულ აუქციონს შემდეგ ქონებაზე:

1. **ტრაქტორი mtz-82-1 - სახელმწიფო ნომრით: EZ-101**
   ა) საწყისი ფასი შეადგენს: 7880 ლარი;
   ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 788 ლარი;
   გ) ბიჯი - 158 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება ქონების შემძენს. ტრაქტორი განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

2. **ტრაქტორი cerez-336- სახელმწიფო ნომრით: EZ-102**
   ა) საწყისი ფასი შეადგენს: 9330 ლარი;
   ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 933 ლარი;
   გ) ბიჯი - 187 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება ქონების შემძენს. ტრაქტორი განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ბარაკების დასახლებაში).

3. **ტრაქტორი solaris-55 სახელმწიფო ნომრით EZ-103;**
   ა) საწყისი ფასი შეადგენს: 9097 ლარი;
   ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 910 ლარი;
   გ) ბიჯი - 182 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება ქონების შემძენს. ტრაქტორი განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

4. **გუთანი- 300 CZH;**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 1166 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 117 ლარი;

გ) ბიჯი - 58 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. გუთანი განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

5. **გუთანი- CZH**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 1085 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 109 ლარი;

გ) ბიჯი - 54 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. გუთანი განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ბარაკების დასახლებაში).

6. **თხევადი ნივთიერების საწამლი აპარატი Jarmet p-329**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 1080 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 108 ლარი;

გ) ბიჯი - 54 ლარი.

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. თხევადი ნივთიერების საწამლი აპარატი განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

7. **ნიადაგზე დასამუშავებელი ფრეზი. პოლ (პატარა)**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 1600 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 160 ლარი;

გ) ბიჯი - 80 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. ნიადაგზე დასამუშავებელი ფრეზი განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

8. **ნიადაგზე დასამუშავებელი ფრეზი. პოლონური. (დიდი)**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 1880 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 188 ლარი;

გ) ბიჯი - 94 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა.

ნიადაგზე დასამუშავებელი ფრეზი განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

9. **სათიბი მანქანა 6 განიანი**
   ა) საწყისი ფასი შეადგენს: 388 ლარი;
   ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 39 ლარი;
   გ) ბიჯი - 19 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. სათიბი მანქანა განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

10. **ხორბლის სათესი სასუქის მისაცემით**
   ა) საწყისი ფასი შეადგენს: 4800 ლარი;
   ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 480 ლარი;
   გ) ბიჯი - 240 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. ხორბლის სათესი განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

11. **შავი ლითონის ჯართი** - ამორტიზებული და დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მისაბმელი 4 აგრეგატი (სეგმენტური სათიბი, საკვალავი და 2 გუთანი)
   ა) საწყისი ფასი შეადგენს: 291 ლარი;
   ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 30 ლარი;
   გ) ბიჯი - 6 ლარი;

ინფორმაცია: ჯართის საორიენტაციო წონა - 647 კგ. მოცემული წონა არის საორიენტაციო. აუქციონის დასრულების შემდეგ, აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე, საკუთარ ხარჯებით მოახდინოს ჯართის გადაწონვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის თანდასწრებით. გადაწონვის შედეგად დაზუსტებული ოდენობის მიხედვით, განისაზღვრება საბოლოო საპრივატიზებო საფასური და განხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. ჯართი განთავსებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში.

1 (ერთი) კილოგრამი ჯართის ფასი შეადგენს 0.45 (0 ლარი და 45 თეთრი) ლარს.

12. **კონდიციონერი ჰიუნდაი 30 მ. კვ.**
   ა) საწყისი ფასი შეადგენს: 200 ლარი;
   ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 20 ლარი;
   გ) ბიჯი - 10 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

13. **კონდიციონერი Midea MSAB-18HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 235 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 24 ლარი;

გ) ბიჯი - 12 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

14. **კონდიციონერი HYUNDAI ESAF18HN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 245 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 25 ლარი;

გ) ბიჯი - 12 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

15. **კონდიციონერი Midea MSAB-12HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 225 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 23 ლარი;

გ) ბიჯი - 11 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

16. **კონდიციონერი Midea MSAB-12HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 225 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 23 ლარი;

გ) ბიჯი - 11 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

17. **კონდიციონერი Midea MSAB-12HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 225 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 23 ლარი;

გ) ბიჯი - 11 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

18. **კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 220 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 22 ლარი;

გ) ბიჯი - 11 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

19. **კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 220 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 22 ლარი;

გ) ბიჯი - 11 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

20. **კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 220 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 22 ლარი;

გ) ბიჯი - 11 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

21. **კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 220 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 22 ლარი;

გ) ბიჯი - 11 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

22. **კონდიციონერი Midea MSAB-09HRN1**

ა) საწყისი ფასი შეადგენს: 220 ლარი;

ბ)„ბეს“ რაოდენობა შეადგენს - 22 ლარი;

გ) ბიჯი - 11 ლარი;

ინფორმაცია: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა. კონდიციონერის განთავსების ადგილია: თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N57;

აუქციონში მონაწილეობის პირობები და აუქციონის ჩატარების წესი

(შედგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად).

1. **ზოგადი ინფრომაცია:**

- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში მონაწილეობის მსურველი „ბეს“ ნაცვლად წარმოადგენს უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, მისი მოქმედების ვადა არანაკლებ 15 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის ვადას.
- აუქციონში გამარჯვების პირობა: მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საპრივატიზებო საფასურს, არანაკლებ ერთი ბიჯისა (ქონება ითვლება პრივატიზირებულად ელექტრონულ აუქციონში საბოლოო თანხის შემომთავაზებელ მონაწილეზე).
- აუქციონში გამარჯვებულს გადახდილი „ბე“/საგარანტიო თანხა ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს (სრულ ღირებულებას) და საგარანტიო თანხას/„ბე“-ს ოდენობას შორის არსებული სხვაობის დადგენილ ვადებში სრულად გადახდის შემთხვევაში, ხოლო თუ წარმოდგენილია საბანკო გარანტია (საგარანტიო ფურცელი), საბანკო გარანტია უბრუნდება უკან, მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის დადგენილ ვადებში სრულად გადახდის შემთხვევაში.
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონში გამარჯვების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდგომ, გამოცხადდეს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობაში და ხელშეკრულების დასადებად წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
- ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა შეძენილი ქონების სრული (საბოლოო) საპრივატიზებო საფასური სრულად უნდა გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.
- ელექტრონული აუქციონი ჩატარდება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალზე - www.eauction.ge.
- აუქციონის მონაწილეს უფლება აქვს დაათვალიეროს საპრივატიზებო ობიექტი.
- დაინტერესებულ პირს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლია მიმართოს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურს (მის. ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქ.57;)

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები

2.1. ელექტრონული აუქციონის ფორმით აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის (შემდგომში „მუნიციპალიტეტი“) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2.2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) ვებ-გვერდზე www.eauction.ge დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება.

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბე“-ს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად). აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ქონების პრივატიზებისთვის/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემისთვის მოწყობილ ელექტრონულ აუქციონში, „ბე“ უნდა გადაიხადოს ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია წარმოადგინოს/გააქტიუროს (ელექტრონულად) თითოეული ქონებისათვის ცალ-ცალკე.

2.3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეიძლება, უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია „2.2.“ პუნქტის მოთხოვნები.

3. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

3.1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, რომელიც აკმაყოფილებს „2.2.“ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატების შემთხვევაში, იძენს ელექტრონულ აუქციონში მონაწილის სტატუსს.

3.2. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

3.3. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.

3.4. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებ-გვერდზე გამოცხადების მომენტი.

3.5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ

რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება გაყიდულად (სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულად) აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც ონლაინ რეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

3.6. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.

3.7. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით (მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე), გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

3.8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, ელექტრონული გზით, ეცნობება საბოლოო ღირებულების სრულად გადახდის თარიღი და ქონების გადაცემის პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს „ბე“/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. „ბე“ აუქციონში დამარცხებულს უბრუნდება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე, ხოლო საბანკო გარანტია დამარცხებულს უბრუნდება მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

3.9. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, დადგენილი წესით, გადაიხადეს „ბე“ ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი „ბე“ ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3.10. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად ირიცხება აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3.11. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“, აგრეთვე, სრულად ირიცხება აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემდაარღვია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ განსაზღვრული წესი და პირობები.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. აუქციონატორი (მუნიციპალიტეტი) უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს შეცვალოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესი და ელექტრონული აუქციონის პირობები (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) და განათავსოს შესაბამის ვებ-გვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან აუქციონატორს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი მოქმედებს ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით;

დ) ელექტრონული აუქციონის პროცესში რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.

4.2. აუქციონატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეს, მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უბრუნდება „ბე“/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, თუ შეცვლილი წესითა და ელექტრონული აუქციონის პირობებით (პირობებიანი ელექტრონული აუქციონისშემთხვევაში) აღარ სურს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობა.

4.3. აუქციონატორი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით, გადასცეს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს საკუთრების უფლება ქონებაზე (ხოლო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში – საკუთრების უფლება ვალდებულებებთან ერთად).

4.4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი უფლებამოსილია:

ა) შეიძინოს მუნიციპალიტეტის ქონება;

ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.

4.5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია:

ა) დაიცვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესები;

ბ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში, დადგენილი წესით დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები.

5. ანგარიშსწორება

5.1. მომხმარებლის მიერ სასურველ ლოტზე „ბეს"/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა შესაძლებელია საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა შესაძლებელია როგორც გააქტიურებით (ელექტრონულად), ასევე წარდგენის საშუალებით.

5.2. ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებგვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ლოტის სრული ღირებულების გადახდის, ასევე „ბეს"/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის (ლოტის სრული ღირებულების მითითებით) და აუქციონატორის შესახებ, დასახელებისა და ანგარიშის/ანგარიშების ნომრ(ებ)ის მითითებით.

5.3. მომხმარებლის მიერ სასურველ ლოტზე „ბეს"/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულისნმიერ შესაბამის ლოტზე მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა ხორციელდება, ამ წესის გათვალისწინებით, აუქციონატორის მიერ განსაზღვრული წესით, საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით.

5.4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ გადახდილი მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულება ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

5.5. გარიგების გაფორმება და ქონების მიმღების პასუხისმგებლობა აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი, ქონების მიმღების ვალდებულებები, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღების პასუხისმგებლობის წესი და პირობები, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“.